N 155 14/07/2020

ოქმი #15
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2020 წელი, 13 ივლისი
ქ. ოზურგეთი
11.00 – 12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია, საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, ლ.საჯაია, გ.კილაძე, ე.გორდელაძე, ტ.არუშიძე, ბ.დოლიძე, ბ.ქათამაძე, ლ.ბიგვავა, გ.ჩაგანავა, დ.ჭაკნელიძე, შ.გოგიბერიძე.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 12, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე.

ამ საკითხზე ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (ე.გორდელაძე) და შეტანილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში.

ბიუროს წევრმა ბ.ქათამაძემ იკითხა, რატომაა დაბა გომისმთის მერის წარმომადგენელზე ორი თანაშემწე განსაზღვრული, როცა ზოგიერთ სოფელს ერთი ჰყავს განმარტეს, რომ სამუშაოების დიდი მოცულობის გამო.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020-2021 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ოსიკო თოთიბაძე

საკითხზე ბიუროს წევრებმა გადაწყვიტეს -განსახილველად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (ლ.ბიგვავა) და შეტანილ იქნას საკრებულოს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში.

ბიუროს წევრმა ლ.საჯაიამ გამოთქვა აზრი, რომ პროექტის მე-9 პუნქტში ნაცვლად ე.წ. „ვატულოს უბნისა“ ჩაიწეროს სოფელ ბოხვაურის შესაბამისი ქუჩა და აუილებლად განხორციელდეს დამენიას ქუჩისა და ლესელიძის ქუჩის შესახვევის რეაბილიტცია- განუმარტეს, რომ რეაბილიტაცია მოხდება სასმელი წყლის კომუნიკაციების მოგვარების შემდეგ.

ბიუროს წევრმა ლ.ბიგვავამ განაცხადა - პროექტებს მხარს უჭერს, მაგრამ ამასთან ერთად, მიზანშეწონილად მიაჩნია სხვა ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზეც პროექტების მომზადება და შესაბამისი დაფინანსების მოძიების შემთხვევაში, საკრებულოსთან შეთანხმებული პრიორიტეტების მიხედვით, ბიუჯეტში ასახვა და განხორციელება.

გადაწყვიტეს:

1. საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული ორივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განსახილველად, ამასთან განსახილველად დაეწეროს შესაბამის დარგობრივ კომისიებს(ე.გორდელაძე, ლ.ბიგვავა).
2. საკრებულოს სხდომა მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის 15 ივლისს, დღის 11.00-საათზე საკრებულოს სხდომათა დარბაზში.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო